

# ანგარიში 2007-2008

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და  
სოციალური მეცნიერებების ფონდი  
(რუსთაველის ფონდი)



## სარჩევი

|                                                                    |    |
|--------------------------------------------------------------------|----|
| საქართველოს პრეზიდენტის მისალმება .....                            | 3  |
| ფონდის დირექტორის მისალმება .....                                  | 4  |
| ჩვენს შესახებ .....                                                | 6  |
| ფონდის მართვა .....                                                | 8  |
| საზრანბო პროგრამები                                                |    |
| სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები .....                               | 9  |
| დასრულებული სამეცნიერო პროექტები .....                             | 13 |
| მიმდინარე პროექტები .....                                          | 16 |
| თემატური ჟონურსი „ილია და გლობალიზაცია“ .....                      | 18 |
| საზრანბო პროგრამები                                                |    |
| მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები .....               | 19 |
| საკონფერენციო გრანტების ჟონურსი .....                              | 20 |
| სტიპენდიები                                                        |    |
| ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის ..... | 21 |
| შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია მეცნიერთათვის .....            | 22 |
| ლონისძიებები .....                                                 | 22 |
| ფინანსური ანგარიში .....                                           | 26 |
| 2008 წლის ბიუჯეტი .....                                            | 28 |
| სამომავლო გეგმები .....                                            | 29 |
| დანართები .....                                                    | 30 |

# საქართველოს პრეზიდენტის მისალმება



## საქართველოს პრეზიდენტი



ერთიანი, ძლიერი, განათლებული სახელმწიფოს შექმნაში ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ნაწილს გადამწყვეტი მისია აქვს. ჩვენ გვჭირდება თავისუფალი აზროვნების, ცოდნაზე დაფუძნებული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება, ახალი იდეები, აზროვნებისა და განათლების ერთიანობა, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ჩვენი ეროვნული ფასეულობების საყოველთაოდ წარმოჩენა და საბოლოოდ მაღალი ინტელექტუალური დონისა და შედეგების მიღწევა. ამიტომ დღეს სახელმწიფო დაჟეჟაა მეცნიერების განვითარება, უცხოეთში მოღვაწე

ქართველ მეცნიერთა მოზიდვა და მათი გამოცდილების გაზიარება, ჯვარედინი უსაზღვრო ურთიერთობებისა და ყველა დარგის სპეციალისტის მომზადება.

„მიხარია, რომ საქართველოს ჰყავს მსოფლიო კლასის მეცნიერები, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერები, რომ მეცნიერება უზრუნდება იმ ღირებულებებს, რასაც აკადემიური თავისუფლება, გახსნილობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება ჰქვია. ჩვენი, როგორც სახელმწიფოს ვალაია, დავებმართო მათ ქვეყნის წინაშე ნაყისრი ვალდებულებების შესრულებაში. სწორედ ამ მიზნით დაარსდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი - რუსთაველის ფონდი. ქართველ მეცნიერებთან ერთად ფონდმა არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროგრამა შექმნა, რომელმაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ამ სფეროში ახალი და მნიშვნელოვანი პროექტების ინიცირებასა და სტიმულირებას.

საამაყო, რომ მეცნიერების დაფინანსებამ სისტემური ხასიათი მიიღო და ყოველწლიურად იზრდება, თუმცა ჩვენ ბევრად მეტი ინვესტიციების ჩადებას ვგეგმავთ მეცნიერებაში. რუსეთის აგრესიის მიუხედავად რუსთაველის ფონდისა და მის მიერ დაფინანსებული მეცნიერების პროექტების არ შეჩერებულა და ეს ასე გაგრძელდა კვალავაც.


მჯერა, რომ მეცნიერულ კვლევაზე დამყარებული პრაქტიკული საქმიანობა მკვეთრად შეცვლის და ხელს შეუწოებს საქართველოს, რაც ქვეყნის წარმატების საწინდარია

ნება მომეცით, როგორც რუსთაველის ფონდს, ასევე მის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების ავტორებს მოგილოცოთ ერთი წლის წარმატებული საქმიანობა და მმავალშიც არაერთი წარმატებული პროექტის განხორციელება გისურვოთ

  
მიხეილ სააკაშვილი

## ფონდის დირექტორის, პროფ. თინათინ ბოჭორიშვილის მისაღება

საქართველოში მეცნიერება მუდამ იყო და დღესაც არის მსოფლიო მეცნიერების განუყოფელი ნაწილი. სამეცნიერო პროგრესის გარეშე საქართველო ვერ განვითარდება ეკონომიკურად და ვერასოდეს დაძლევს სიღარიბეს, ვინაიდან თანამედროვე კონკურენტული ეკონომიკა მხოლოდ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა შეიძლება იყოს, მაგრამ მეცნიერება არაა მხოლოდ ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელი, ის ამავე დროს უნიკალური ეროვნული იდენტობის და ეროვნული ღირებულებების დამცველი და შემნახველიცაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერების თანამედროვე ეტაპს საზოგადოდ ახასიათებს ძალების კონცენტრირება მეცნიერების პრიორიტეტულ მიმართულებებზე. პრიორიტეტების გამოყოფა და მათი დაფინანსების გაზრდა - ეს მსოფლიო მეცნიერების განვითარების ძირითადი ტენდენციაა.



სწორედ ასეთი პრიორიტეტია ქართველოლოგია, რომელიც მეცნიერებათა იმ იშვიათ და უნიკალურ დარგებს განეკუთვნება, რომელთა წინსვლა და პროპაგანდა მსოფლიო მასშტაბით პირველ რიგში ქართული სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობაზე დამოკიდებული და შედეგად განუსაზღვრელი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის, იდენტობის, ჩვენი საზოგადოების წარსული, თუ აწმყო პრობლემების კვლევისა და პოპულარიზაციისათვის მთელს მსოფლიოში.

ქართული სახელმწიფო გრძნობს ამ პასუხისმგებლობას და სწორედ ამის გამო საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული იქნა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების (რუსთაველის ფონდის) დაარსება. 2007 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად სახელმწიფომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო დაფინანსებინა იმგვარი კვლევები, რომელთა დაფინანსებაც მხოლოდ ქართული სახელმწიფოს ვალთაა.

რუსთაველის ფონდის შექმნა მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმის მნიშვნელოვანი საფეხურია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ღირებული კვლევების შენარჩუნება/განვითარება და განსაკუთრებული ზრუნვის საგნად და პრიორიტეტად ქართველოლოგიური კვლევების აღიარება.

ფონდის უმთავრესი ამოცანებია ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფეროში:

- სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირების საფუძველზე სახელმწიფო სახსრების განაწილება ღია კონკურენტული მექანიზმით;
- სისტემური ინტეგრაცია საერთაშორისო კვლევით სივრცეში და ამ მიზნით ინფორმაციის გაცვლა სამეცნიერო წრეებს შორის;
- საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებსა და შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობა და ა.შ.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ, საქართველოში წარმოებული ჯვლევეები, ეროვნულ ღირებულებებთან იყოს დაკავშირებული, მეორე მხრივ კი, მსოფლიო მეცნიერების კონტექსტში იყოს. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ რუსთაველის ფონდში ჯვლევითი წინადადებების შერჩევა ხდება როგორც ქართველი, - ასევე უცხოელი მკვლევრების მონაწილეობით, რათა ქართულმა მეცნიერებამ თავისი მაღალი პროფესიული დონით საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას შეუწყოს ხელი.

ფონდის მოღვაწეობა უნიკალური მაგალითია სახელმწიფოს მიზანმიმართული ძალისხმევითა და მისიასა და მიზანში ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საერთო სტრატეგიული მიმართულებები ისახება: ერთი მხრივ, არსებული კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის ჯვლევის შენარჩუნება და თაობიდან თაობებში გადაცემა, და, მეორე მხრივ, პოლიტიკის, სახელმწიფო მართვის, ისტორიის, ეკონომიკისა და სხვა სოციალური დარგების განვითარება.

ამავე აზრს ეხმიანება საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყოველ ზრდასრულ პიროვნებას „გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს პირადი პასუხისმგებლობა ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ფასეულობების მიმართ“.

ჩემი ხედვით, რუსთაველის ფონდი უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ კონკურსების შედეგად გამარჯვებულ პროექტთა გამოსავლენ ინსტიტუციას, არამედ - სამეცნიერო ფორუმს, ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს საზოგადოებასა და მეცნიერებას შორის, სადაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მოძიება საერთაშორისო სამეცნიერო ჯვლევეების შესახებ და მათში ქართველ მეცნიერთა ინტეგრირება.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველოლოგიის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ხელშეწყობისა და წინსვლის მიზნით, რუსთაველის ფონდის დაარსებას ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მიზანია, რომ საქართველოში მეცნიერებმა თავი იგრძნონ წარმატებულ, ქვეყნისათვის საჭირო და დაფასებულ ადამიანებად.

## ჩვენი მისია

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი) დაარსდა 2007 წლის მაისში, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე. რუსთაველის ფონდი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

ფონდის მიზანია, დაფინანსების გზით ხელი შეუწყოს საქართველოში ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განვითარებას, საერთაშორისო უკუკავშირებით სივრცეში ქართული მეცნიერების სისტემურ ინტეგრაციას.

საქართველოში ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფონდი ატარებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონკურსებსა და ღონისძიებებს, სურათი 1 ასახავს რუსთაველის ფონდის მიერ ადმინისტრირებულ კონკურსებსა და საქმიანობას.



სურათი 1. რუსთაველის ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველოლოგია პრიორიტეტული დარგია, რომელიც განსაზღვრავს ფონდის საერთო სტრატეგიულ მიმართულებას. სწორედ ამ დარგის რაციონალურ განვითარებაზეა დამოკიდებული, ერთი მხრივ, ჩვენი კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნება, მეორე მხრივ კი - ახალ მსოფლმხედველობრივ ორიენტირთა ჩამოყალიბება პოლიტიკის, სახელმწიფოს მართვის, ისტორიის და ეკონომიკის სფეროებში უკუკავშირების განვითარების გზით.



რუსთაველის ფონდი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჟონჟურენციის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპით. გამარჯვებულთა შერჩევა სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო და თემატურ ჟონჟურსებზე ხდება მხოლოდ დამოუკიდებელ (ქართულ და უცხოელ) ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე. დანარჩენ საგრანტო ჟონჟურსებში გამარჯვებულებს გამოავლენენ სპეციალური ჟომისიები, რომლებიც, თითოეული ჟონჟურეტული ჟონჟურსისთვის, შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების ჟვალდიფიციური მეცნიერებისგან არის დაჟომპლექტებული. ექსპერტების და სპეციალური ჟომისიების მიერ შერჩეულ პროექტთა / გამარჯვებულთა ჟანდიდატურებს ამტაიცებს ფონდის სამეცნიერო საბჭო. ყველა საგრანტო ჟონჟურსის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე. რუსთაველის ფონდის თანამშრომლები ყოველთვის მზად არიან, მეცნიერებსა და დაინტერესებულ პირთა ფართო წრეს დაწვრილებით გააცნონ სააპლიჟაციო პროცედურა და მიაწოდონ ყველა საჭირო ინფორმაცია მიმდინარე ჟონჟურსების შესახებ. ფონდი თავის საქმიანობას აჟადემიური და მორალური პრინციპების დაცვით ახორციელებს.



სურათი 2. ფონდის საქმიანობის პრინციპები

## ფონდის მართვა

ფონდს ხელმძღვანელობს დირექტორი, ფონდის მართვის ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ფონდის საქმიანობას, ამტკიცებს ფონდის ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშს, საქართველოს მთავრობას წარუდგენს ფონდის მუშაობის ყოველწლიურ ანგარიშს.

„მისასალმებელია, რომ სახელმწიფომ საკუთარი სახსრები მოიძია იმისათვის, რომ წარმატებულ მეცნიერებს, მათ წარმატებულ კვლევით პროექტებს უშუალოდ ქართული ბიუჯეტიდან დაუჭიროს მხარი“.

დავით დარჩიაშვილი,  
სამეცნიერო საბჭოს წევრი

ფონდის დირექტორი აცხადებს სახელმწიფო სამეცნიერო და სხვადასხვა სახის საგრანტო კონკურსებს. დირექტორი პასუხისმგებელია საგრანტო პროექტის შესრულებასა და მონიტორინგზე, ფონდის საქმიანობის განხორციელებაზე, ეფექტურობასა და მიზანშეწონილობაზე.

ფონდის დირექტორის კანდიდატურის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე. კანდიდატურას არჩევს სამინისტროს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია. დირექტორს 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ფონდის მართვის ორგანოა 15-წევრიანი სამეცნიერო საბჭო. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ 2/3

არიან მეცნიერები, სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის 1/3 განისაზღვრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, 1/3 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ხოლო 1/3 - საქართველოს მთავრობის კვოტით, რომელსაც საქართველოს მთავრობას წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სამეცნიერო საბჭოს წევრთა შესახებ დანწრილებითი ინფორმაცია იხილეთ პირველ დანართში.

ფონდის თანამშრომლები არიან სამეცნიერო ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც დაუტალავად იღვწიან ფონდის ეფექტური და შეუფერხებელი საქმიანობისთვის.

„უპირატესი ზრუნვა მეცნიერების მიმართულებაზე, რომელიც საკუთარი ხალხის ეროვნულ ფენომენს იკვლევს, ყველა ქვეყნის მოვალეობაა. ჩვენში ეს მისია რუსთაველის ფონდს დაეკისრა, რაც პატივთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაა“.

ელგუჯა ხინთიბიძე,  
სამეცნიერო საბჭოს წევრი



# საგარეო ურთიერთობები

## სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

### ურთიერთობის შესახებ

ეს იყო პირველი  
სერიოზული გამარჯვება  
ახალი ტიპის საგარეო  
სისტემაში. სამეცნიერო  
წრეებში ძველი  
კლიშეებით მოაზროვნე  
ადამიანებისთვის,  
რომლებიც ეჭვის თვალით  
უყურებდნენ ამ ნოვაციას, იგი  
იქცა აღმოჩენად.

ელდარ ნადირაძე, სახელმწიფო  
საგარეო პროექტის სამეცნიერო  
ხელმძღვანელი

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ურთიერთი წარ-  
მოადგენს მეცნიერების რეფორმის განხორციელების  
ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს. სახელმწიფო სამეცნიერო  
გრანტების მიზანია, ღიად გამოცხადებული ურთიერ-  
ისის გზით, დამოუკიდებელ (ადგილობრივ და საერთაშო-  
რისო) ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, გამოავლინოს  
და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები. პროექტების  
შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურო-  
ბას განაპირობებს და უზრუნველყოფს საერთაშო-  
რისო და ადგილობრივ ექსპერტთა მაღალი სამეცნიერო  
დონე, თითოეული ურთიერთობის სამეცნიერო სფეროსა  
და მიმართულებისთვის.

საკონკურსოდ წარმოსადგენი პროექტების მინიმალუ-  
რი ხანგრძლივობაა 6 თვე, ხოლო მაქსიმალური - 36  
თვე. დასაფინანსებლად შერჩეულ საგარეო პროექტზე  
გასაცემი გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3  
წელიწადში 150 000 ლარს, ხოლო წელიწადში - 50 000  
ლარს.

საპროექტო განაცხადების მიღებისა და შეფა-  
სების პროცედურა მარტივი და გამჭვირვალეა -  
სახელმწიფო სამეცნიერო საგარეო ურთიერთობის  
ცხადდება წელიწადში ერთხელ. ფონდში შემო-  
ტანილ საპროექტო განაცხადებს დამოუკიდებელი  
ექსპერტები აფასებენ. პროექტის შეფასება ხორ-  
ციელდება საქართველოს მთავრობის დადგენი-  
ლებით დამტკიცებული კრიტერიუმებით. ეს კრიტე-  
რიუმებია: კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები,  
კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები,  
პროექტის შემსრულებელთა კომპეტენტურობა,  
პროექტში დაგეგმილი ადამიანური, ფინანსური და  
ტექნიკური რესურსების შესაბამისობა პროექტის  
განხორციელების პერიოდთან, მიზანსა და ამოცა-  
ნებთან. საკონკურსო პროექტების რაწირება ხდე-  
ბა მიღებული საკონკურსო ქულების საფუძველზე.

პროექტის დამუშავებამ  
სტიმული მოგვცა, შემდგომ  
სამეცნიერო კვლევებში  
განსაკუთრებული ყურადღება  
დაგვეთმო საქართველოს  
ეკონომიკის როლისა და  
ურთიერთობების განვითარების  
პრობლემებისათვის ჯავახიშვილის  
რეგიონსა და შავი ზღვის აუზის  
ქვეყნების (ბისეკი) გაერთიანებაში.

ევგენი ბარათაშვილი,  
სახელმწიფო საგარეო  
პროექტის სამეცნიერო  
ხელმძღვანელი

რუსთაველის ფონდი ურთიერთობის შედეგებს - რაწირულ სიას - წარუდგენს სამეცნიერო სა-  
ბჭოს. სამეცნიერო საბჭო ამტკიცებს ურთიერთობის შედეგებს და გამოავლინებს გამარჯვებულ პრო-  
ექტებს სახელმწიფო სამეცნიერო საგარეო ურთიერთობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის საფუძ-  
ველზე.

შემოქმედებითი თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საგრანტო პროექტში ისტორიკოსთა სამივე თაობის (უფროსი, საშუალო და ახალგაზრდა) მონაწილეობას, რამაც უზრუნველყო საინტერესო სამეცნიერო პროექტში ახალგაზრდა ისტორიკოსების ენერგიული ჩაბმა.


ალექსანდრე დაუშვილი,  
სახელმწიფო საგრანტო პროექტის  
სამეცნიერო ხელმძღვანელი

რუსთაველის ფონდი ატარებს გამარჯვებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ყოველ-  
კვარტალურ პროგრამულ და ფინანსურ მონი-  
ტორინგს. ფონდის მონიტორინგის სამსახურის  
მიერ შესასრულებელი სამუშაოს დადებითი  
შეფასების შემთხვევაში ხორციელდება საგრან-  
ტო პროექტით გათვალისწინებული თანხების  
ყოველკვარტალური ტრანშის გადარიცხვა. პრო-  
ექტის დასრულების შემდეგ, გრანტის მიმღები  
ვალდებულია, ფონდს წარუდგინოს საბოლოო  
ანგარიში.

## დასრულებული და მიმდინარე სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტები

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო ჯონჯურსი არც ისე დიდი ხანია, ტარდება, მაგრამ, მიუ-  
ხედავად ამისა, ამ ჯონჯურსში მონაწილე მეცნიერთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მრავალრიც-  
ხოვანია წარმოდგენილი პროექტებიც. 2008 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 2006 - 2008  
წლებში დაწყებული 58 პროექტის დაფინანსება. სახელმწიფო გრანტები სამეცნიერო პროექტ-  
ებისთვის მიიღეს უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა, სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებუ-  
ლებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

მე-3 სურათი ასახავს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების ტიპებს,  
მეორე დანართში კი შეგიძლიათ იხილოთ დეტალური ინფორმაცია დაფინანსებულ ორგანი-  
ზაციათა შესახებ.



სურათი 3. დაფინანსებული ორგანიზაციის ტიპი


ზაციათა შესახებ.

როგორც მე-3 სურათიდან ჩანს, დაფინანსებულ პროექტ-  
თა ყველაზე დიდი პროცენტუ-  
ლი მაჩვენებელი სამეცნიერო-  
კვლევით დაწესებულებებზე  
მოდის, ამას მოჰყვება უმაღლე-  
სი სასწავლო

დაწესებულებები. არასამთავ-  
რობო ორგანიზაციების მიერ  
შემოტანილი პროექტების პრო-  
ცენტული მაჩვენებელი ყველაზე  
მცირეა.

დაფინანსებული სახელმწი-


ფო საგრანტო პროექტები სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებას მიეკუთვნება<sup>1</sup>. მე-4 და მე-5 სურათი ასახავს დაფინანსებულ პროექტთა განაწილებას ყველვის სამეცნიერო სფეროს/მიმართულების მიხედვით. ქართველოლოგიაში დაფინანსების ყველაზე დიდი წილი ისტორიაზე




მოდის, რასაც ქართველური ენები და ეთნოგრაფია მოჰყვება (იხ. სურათი 4). ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებიდან იურისპრუდენციისა და ეკონომიკის მიმართულებების პროექტების დაფინანსების წილი ყველაზე მაღალია (იხ. სურათი 5).

სურათი 4. დაფინანსებულ პროექტთა განაწილება სამეცნიერო მიმართულების მიხედვით. ქართველოლოგია.

17 პროექტი უკვე დასრულებულია. დანარჩენი პროექტები შესრულების სხვადასხვა ეტაპზეა. ზოგიერთ მათგანს უკვე მნიშვნელოვანი შედეგებიც აქვს მიღებული და საკუთარი დარგის განვითარებაში მათი წვლილი უკვე ნიშანდობლივია. მიმდინარე და დასრულებული პროექტების ზოგადი მიმოხილვა მოცემულია შემდეგ ქვეთავში, მესამე დანართში კი შეგიძლიათ იხილოთ დეტალური ინფორმაცია 2008 წლის განმავლობაში დაფინანსებული 58 პროექტის შესახებ.



სურათი 5. დაფინანსებულ პროექტთა განაწილება სამეცნიერო მიმართულების მიხედვით. ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები.



სურათი 6. განაცხადთა განაწილება პროექტის შემომგანთა მიხედვით


2008 წელს რუსთაველის ფონდმა გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2009 წლისთვის. ფონდში 265 საპროექტო განაცხადი შემოვიდა.

2008 წელს საგრანტო პროექტები შემოიტანეს როგორც ორგანიზაციებმა, ასევე - ფიზიკურმა პირებმა. მე-6 სურათი ასახავს განაცხადთა განაწილებას საგრანტო პროექტის შემომგანთა მიხედვით.


<sup>1</sup> ზოგიერთ შემთხვევაში ხდება სამეცნიერო მიმართულებათა მიერ ერთმანეთის გადაფარვა. ამიტომ, ამა თუ იმ პროექტის ქართველოლოგიის ან ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებისთვის მიეკუთვნება ავტორთა მიერ მითითებული მიმართულების შესაბამისად ხორციელდება.

2008 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით მიღებულ საპროექტო განაცხადებს „ონ-ლაინ“ რეჟიმში აფასებდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები. გამარჯვებული პროექტები დაფინანსებას 2009 წლის იანვრიდან მიიღებენ.

2008 წელს ფონდში შემოსული 265 განაცხადიდან 115 მიეკუთვნება ქართველოლოგიას, 150 კი - ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს. მე-7 და მე-8 სურათი ასახავს საგრანტო განაცხადთა განაწილებას სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.



სურათი 7. საგრანტო განაცხადთა განაწილება მიმართულებების მიხედვით ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში



სურათი 8. საგრანტო განაცხადთა განაწილება მიმართულებების მიხედვით ქართველოლოგიურ მეცნიერებებში



# 1. დასრულებული სამეცნიერო პროექტები

## მიმოხილვა

**პროექტის სათაური:** ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ტექსიკონი  
**ორგანიზაცია:** ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ელდარ ნადირაძე  
**სამეცნიერო მიმართულება:** ეთნოგრაფია, ეთნოლოგია



კუდა (ღვინის სასმისი)

115 ნახატი, ამავე დროს, გამოიყენეს ეროვნულ მუზეუმში დაცული უნიკალური მხატვრული მასალა, რომლის დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

ტექსიკონში შევიდა ქართული მატერიალური კულტურის სფეროში არსებული ყველა უმთავრესი ნივთი. თითოეული ტექსტი ამომწურავ პასუხს იძლევა მასალის რაობის, დანიშნულების, სოციალ-უტილ-ტარული დონისა და რეგიონული გავრცელების შესახებ. სულ მომზადებულია 2000 ტერმინი, ნაშრომისთვის გადაღებულ იქნა 2500-ზე მეტი ფოტოსურათი და შესრულდა



ოქრომჭედლობის ნიმუში

**პროექტის სათაური:** რუსული კოლონიალიზმი საქართველოში  
**ორგანიზაცია:** ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ალექსანდრე დაუშვილი  
**სამეცნიერო მიმართულება:** ისტორია

საგრანტო პროექტის ავტორებმა შექმნეს ორიგინალური, განმაზოგადებელი ნაშრომი, რომელშიც ასახულია და კრიტიკულ-ობიექტურად არის შეფასებული რუსული კოლონიალიზმის ორსაუკუნოვანი ისტორია. დასაბუთებულია, რომ მონარქიული და საბჭოურ-კომუნისტური იმპერიალიზმი ერთმანეთისგან მხოლოდ გარეგნულად, იდეურ-პოლიტიკური მეთოდებით განსხვავდებოდა; ორივე იმპერიას ერთი ძირითადი მიზანი ჰქონდა - საქართველოს გადაქცევა რუსეთის ეკონომიკის დანამატად და ქვეყნის მოსახლეობის რუსიფიკაცია. თემაზე მუშაობისას ჯგუფი იყენებდა მუშაობის კომპლექსურ ფორმებსა და მეთოდებს. პრობლემა დამუშავდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მახასიათებლების შესწავლისა და კრიტიკული გაზრების საფუძველზე. პროექტის ავტორთა ორი წლის მუშაობის შედეგია მონოგრაფია, ორი კრებული და რამდენიმე სამეცნიერო სტატია.



**პროექტის სათაური:** საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება  
**ორგანიზაცია:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ევგენი ბარათაშვილი  
**სამეცნიერო მიმართულება:** ეკონომიკა

კვლევის შედეგად მიღებული ინდექსები, რეგიონების მიხედვით მაჩვენებელთა ასახვის გარდა, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის არსებულ მნიშვნელოვან რეზერვებზე მიუთითებს და გვიჩვენებს ეროვნულ ეკონომიკაში არსებულ მაღალ პოტენციალსა და

ინსტიტუციური ცვლილებების აუცილებლობას მცირე ბიზნესის განვითარების, საშუალო ფენის ფორმირებისა და ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის ოპტიმიზაციის მიმართულებით.

აღნიშნული პროექტის დამუშავებამ სტიმული მისცა მკვლევრებს შემდგომი სამეცნიერო კვლევებისთვის, საქართველოს ეკონომიკის როლისა და კონკურენტუნარიანობის შესასწავლად ყავასიის რეგიონსა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებში.

**პროექტის სათაური:** კოლექტიური კულტურული იდენტობა რელიგიური მოქცევის კონტექსტში: ქართული მაგალითის კვლევა და განზოგადება  
**ორგანიზაცია:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ლელა ჰატარაძე  
**სამეცნიერო მიმართულება:** ქართველოლოგია

პროექტი მიზნად ისახავს კოლექტიური კულტურული იდენტობის (კულტურულ-ისტორიული ერთობის თვითცნობიერების) მრავალგანზომილებიანი კონცეპტის კვლევას კონკრეტულ ისტორიულ გარემოში - გაქრისტიანების პერიოდის ქართლის სამეფოში.

ნაშრომში პირველად ყურადღება გამახვილებულია იმ სოციალურ და ეთნო-კულტურულ გარემოზე, რომელიც ქართლის განმანათლებელს - წმინდა ნინოს დახვდა მცხეთაში, სადაც იყვნენ ადგილობრივი წარმართნი (მეფე და „ყოველი ერი“) და ებრაული დიასპორა. სწორედ ამ ორმა კულტურულმა ერთობამ ქრისტიანიზაციის პროცესში ორი სხვადასხვა მრევლი შეადგინა, რომელიც მოგვიანებით ერთ ქრისტიანულ ქართულ კულტურულ ერთობაში გამოთლიანდა.

**პროექტის სათაური:** საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე)  
**ორგანიზაცია:** გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** მიხეილ სვანიძე  
**სამეცნიერო მიმართულება:** ისტორია



მონოგრაფიაში შესწავლილია ოსმალეთისა და ირანის ურთიერთობა საქართველოს სამეფო-სამთავროებთან და მათთან დამყარებული ურთიერთობის პოლიტიკური ფორმა.

მონოგრაფია განკუთვნილია საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისთვის, თურქოლოგებისა და ირანისტებისთვის, სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის, რომლებიც სწავლობენ საერთაშორისო ურთიერთობის (დიპლომატიის) ფაკულტეტზე. აგრეთვე, ფართო საზოგადოებისთვის. ნაშრომის მოცულობაა 372 გვერდი. პროექტის მონაწილენი გეგმავენ განაგრძონ კვლევა მომდევნო პერიოდის შესასწავლად.

**პროექტის სათაური:** საქართველოში გოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში  
**ორგანიზაცია:** ივანე ჯავახიშვილის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** მაყვალა ნათმელაძე  
**სამეცნიერო მიმართულება:** ისტორია

მკვლევართა ჯგუფმა მიზნად დაისახა საქართველოში გოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებების შესწავლა - კვლევის კომპლექსური მეთოდების გამოყენებით, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ფსიქო-სოციალური და კულტუროლოგიური საკითხების წარმოჩენა და კრიტიკული გააზრება. საქართველოს არქივსაცავებსა და ბიბლიოთეკებში ჯგუფმა გამოავლინა უამრავი ახალი ფაქტოლოგიური მასალა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში,





ახალი ან უფრო დაზუსტებული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. მოპოვებული მასალის საფუძველზე, ჯგუფმა გააკეთა „მონაცემთა კომპიუტერული ბანკი“, რომელიც ყველა მსურველს დაეხმარება, უფრო ახლოს გაეცნოს მოპოვებულ წყაროთმცოდნეობით მასალას.



პროექტის სათაური: ადგილობრივი თვითმმართველობის  
სუბიექტების განვითარების ეკონომიკური სტრატეგია  
ორგანიზაცია: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ცანავა  
სამეცნიერო მიმართულება: ეკონომიკა

პროექტის სიახლე და უნიკალურობა გამოიხატება იმაში, რომ საქართველოში პირველად იქნა კომპლექსურად გამოკვლეული ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები და შემუშავდა მათი კომპლექსური საზოგადოებრივი მომსახურების მეთოდოლოგია. რეგიონების სახელმწიფო მართვის მეთოდების საკითხების გარშემო მომზადდა სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალა.

პროექტის შედეგების პოტენციურ მომხმარებლებს წარმოადგენენ საქართველოს ხელისუფლების ორგანოები, ეკონომიკური განვითარების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სტრუქტურები, აგრეთვე, სასწავლო დაწესებულებები, საჯონსულტაციო და ტრენინგ-ცენტრები, სხვა დაწესებულებები.


პროექტის სათაური: ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული სისტემა  
 ორგანიზაცია: ენის მოდულირების ასოციაცია  
 სამეცნიერო ხელმძღვანელი: რატი სხირატაძე  
 სამეცნიერო მიმართულება: ენათმეცნიერება

პროექტის მიზანი იყო ისეთი პროგრამული პროდუქტის შექმნა, რომლის საშუალებითაც ქართული ენის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირი მიიღებდა ინფორმაციას სიტყვის გრამატიკულ მახასიათებლებსა და მარტივი წინადადების სტრუქტურაზე.

ენის ფორმალიზაციის პირველ ეტაპზე მკვლევრებმა ააგეს 490 ზმნური და 72 სახელური მოდელი, რომელიც, შესაბამისად, 28982157 და 108761163, სულ 137743320 განსხვავებულ სიტყვათორმას აწარმოებს.

ენის ფორმალიზებულ მოდელზე დაყრდნობით პროექტის ავტორებმა შექმნეს პროგრამული პაკეტი, რომელიც მოიცავს ქართული ენის ორთოგრაფიულ სპელჩეკერსა და ე.წ. ანალიზატორს. ანალიზატორის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია დაამორფემოს სიტყვაფორმა, დაადგინოს სიტყვის გრამატიკული კატეგორია, ასევე ამოიცნოს მარტივი გაუვრცობელი წინადადების წევრები.

პროგრამული პაქეტის ჩამოტვირთვა ხდება ვებგვერდიდან [www.ena.ge](http://www.ena.ge) რომელზეც განთავსებულია ფორუმი და მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გამოთქვას საქმიანი შენიშვნები თუ სურვილები. შეძლებისდაგვარად, მათი გათვალისწინება მოხდება პროგრამის მომდევნო ვერსიებში.



## ბ. მიმდინარე პროექტები

**პროექტის სათაური:** ქართული ხელნაწერი წიგნი (ვებგვერდის შექმნა)  
**ორგანიზაცია:** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ნესტან ჩხიკვაძე  
**სამეცნიერო მიმართულება:** ქართული ლიტერატურა



იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ დიოლოგოსი, საღმრთო ჭამისწირვა

იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ დიოლოგოსი, საღმრთო ჭამისწირვა

ქართული ხელნაწერი წიგნის ვებგვერდის შექმნა ითვალისწინებს ხელნაწერი წიგნის, როგორც ერთიანი კულტურული ფენომენის შესახებ, საკვანძო საკითხების თავმოყრას, მათ სისტემატიზაციასა და ქართული წერილობითი კულტურის შესახებ შემკრებლობითი ნაშრომის ელექტრონული ვერსიის ჩამოყალიბებას, რომელიც დაამყარდეს არა მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრის, არამედ ფართო საზოგადოების ინტერესებსაც. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაეყრდნობა ჩვენი მნიშვნელოვანი ტრადიციის ფუნდამენტური კვლევის შედეგებს. მასალა განთავსდება ვებგვერდზე ხელნაწერი წიგნის მინიატურული მხატვრობისა და ენობრივ-კალიგრაფიული თავისებურებების გამოსავლენად. პროექტის დასრულებისთვის ჯგუფს გამიზნული აქვს ვებგვერდზე განთავსოს ქართული ხელნაწერი წიგნის შექმნისა და გავრცელების რუკა.



სვანური მრავალთავი

**პროექტის სათაური:** მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა დასავლეთ საქართველოში  
**ორგანიზაცია:** საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** თენგიზ მეშველიანი  
**სამეცნიერო მიმართულება:** არქეოლოგია



მეცვლევართა აზრით, დასავლეთ საქართველოში მეხოლითურია ყველა ის ნეოლითურად დათარიღებული ძეგლი, სადაც არ არის გახეხილ-გაპირიალბებული იარაღები.


საწერბლიას „ეხი“, მრავალფენიანი ძეგლი, რომელიც ნაწილობრივად არის შესწავლილი, მეცვლევართა მოსაზრებით შეიცავს ყველა იმ მონაცემს, რომელიც საჭიროა ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად. იგი ქარგად სტრატეფიციური ძეგლია, ხელუხლებელია ფენების უდიდესი ნაწილი, ძეგლი გაითხრება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, გაკეთდება აბსოლუტური თარიღები, ჩატარდება პალინოლოგიური, გეომორფოლოგიური ანალიზები. ფაუნისტური მასალა შეისწავ-

ლებს არქეოზოოლოგიის კუთხით, მოხდება არქეოლოგიური და პალეოანთროპოლოგიური მასალის ზუსტი ფიქსაცია.



**პროექტის სათაური:** უძველესი მეტალურგია და სოციალური პროცესები ძვ.წ. IV-III ათასწ. სამხრეთ კავკასიაში  
**ორგანიზაცია:** საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ირინე ღამბაშიძე  
**სამეცნიერო მიმართულება:** არქეოლოგია

პროექტით დაგეგმილი სამუშაოები გულისხმობს ლითონის არტეფაქტების იდენტიფიცირებას სამთამადრო ჟერებთან და ამ ჯავშირების კარტოგრაფირებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება იმ უძველეს დროში არსებული კულტურული და სავაჭრო კონტაქტების შესწავლის თვალსაზრისით. ამასთან, გამაღწევისა და სამთამადრო გამონამუშევრების რუკაზე დატანა საშუალებას მოგვცემს, დაიგეგმოს კონკრეტულად მიზანდასახული არქეოლოგიური დაზვერვები მეტალურგიული ახალი ჟერების გამოსავლენად.



აზერბაიჯანის სპილენძის, დარიშხანის და ანთიმონის საბადოები და მადანგამოვლინებები

**პროექტის სათაური:** ციხეგორს გაღობს ბუღბუღი  
**ორგანიზაცია:** ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პაატა ბუხრაშვილი  
**სამეცნიერო მიმართულება:** ეთნოგრაფია, ეთნოლოგია



გახდება ამ მხარის სულიერი და ყოფითი მხარეები. სამეურნეო-ყოფითი ელემენტების შესწავლის ნიადაგზე თვალნათლივ ნაჩვენები იქნება ის, თუ რამდენადაა გამოუყენებელი ამ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი.

კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იქნება მაქსიმალურად უცდომელი საზოგადოებრივ - თემობრივი რუკის მომზადება. კვლევითი ჯგუფი ეცდება თითოეული თემის და მასში შემავალი არეალის საზღვრების, დასახლებების, წმინდა ნაგებობების, კვრივების, ხატის მიწების აღწერის საფუძველზე მაქსიმალური სიზუსტით აღადგინოს იქაური ტრადიციული იერ-სახე.

პროექტის მიზანია სათემო ინსტიტუტების - სათემო სალოცავების, თეოკრატიული და სამართლებრივი სტრუქტურის თავისებურებების წარმოჩენა სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და კულტურის საკითხების გადანყვეტაში სახელმძღვანელოდ.

პროექტის ერთ-ერთი პროდუქტი იქნება მოძრავი სასწავლო მულტიმედია გამოფენა-სემინარი (სამეცნიერო-სასწავლო მულტიმედია კომპაქტ-დისკი), რომლის საშუალებითაც არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, არამედ ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი



## თამაზური ჯონაურსი „ილია და გლობალიზაცია“



ილია ჭავჭავაძის 170 წლის იუბილესთან დაკავშირებით რუსთაველის ფონდმა გამოაცხადა თემატური ჯონაურსი „ილია და გლობალიზაცია“, რომლის მიზანია ილია ჭავჭავაძის ნაშრომთა პოპულარიზაცია, თანამედროვე გლობალურ ეპოქაში მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ახლებურად გააზრება, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინარული კვლევის განვითარება.

ჯონაურსში „ილია და გლობალიზაცია“ მონაწილეობდა 21 პროექტი. დაფინანსება უმაღლესი შეფასების მქონე სამმა პროექტმა მიიღო. გამარჯვებული პროექტების დაფინანსება 2008 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.

### მიმდინარე პროექტები:

**პროექტის სათაური:** ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას „ივერია“  
**ორგანიზაცია:** ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** თინათინ ბოლქვაძე

ნაციონალური იდენტობის დადგენის მრავალი ინდიკატორი არსებობს, მათ შორის, უმთავრესია ისტორიული წარსულის, ტერიტორიულობის, რელიგიური და ენობრივი მარკერების და ა.შ. პერცეპცია ანუ კულტურა მთლიანობაში. გამოკვეთილი ინდიკატორების მიხედვით, პროექტის ფარგლებში, ჯერ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იქნება შესწავლილი „ივერიის“ ფურცლებზე წარმოდგენილი მასალა. შეჯამებისას კი ეს მასალა გაანალიზდება თემატური პრინციპით და ამის შედეგად აღდგება, ერთი მხრივ, „ივერიის“ მკითხველი ქართული საზოგადოების სახე, ხოლო მეორე მხრივ, განისაზღვრება ზოგიერთი ის პრობლემა, რომელიც უკავშირდება ნაციონალ და სახელმწიფოთა ფორმირებას ბეჭდური კაპიტალიზმის მეშვეობით გლობალიზებულ სამყაროში.

**პროექტის სათაური:** ილია ჭავჭავაძის როლი ქართველი ერის გადარჩენაში  
**ორგანიზაცია:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ვახტანგ გურული

პროექტის ამოცანაა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ, პროზაულ და პოეზიურ წყაროებსა და ისტორიოგრაფიაში არსებული მონაცემების მოგროვება და თანამედროვე გლობალურ ეპოქაში, დანერგილი კვლევის მეთოდების საფუძველზე, გამოკვლევების ჩატარება. კვლევა, ძირითადად, მიმართული იქნება ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული სინამდვილის რაობის, გენეზისის, ტრანსფორმაციის საკითხების საილუსტრაციოდ. ხაზგასმული იქნება, ერთი მხრივ, მისი უნიკალურობა, მეორე მხრივ კი „ევროპულ ცივილიზაციაში მისი ინტეგრაციის თავისებურებები“.

**პროექტის სათაური:** ილია ჭავჭავაძე გლობალიზაციის სათავეებთან  
**პროექტის წარმომდგენი:** დამოუკიდებელ მკვლევართა ჯგუფი  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** გიორგი გაჩეჩილაძე

პროექტის მიზანია, უახლესი რეალობის გათვალისწინებით, შექმნას მონოგრაფია ქართული პოლიტიკური და კულტუროლოგიური განვითარების შესახებ; აჩვენოს გლობალური პროცესების დინამიკაში ქართული აზროვნების ჩართულობის როლი, ხარისხი და მნიშვნელობა; წარმოაჩინოს ისტორიის „ცნობიერი აქტიორის“ როლში ქართველი ხალხის ქართველ ერად გარდაქმნის პროცესი და მასთან დაკავშირებული პერიპეტეიები.



# საგრანტო პროგრამები

## მოქალაქიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო გრანტები

მოქალაქიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო გრანტების მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერების მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი. სამოგზაურო გრანტები გაიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში - კონფერენციებში, კონგრესებში, ფორუმებში, სიმპოზიუმებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობაა განმცხადებლის უშუალო მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში.



კონკურსანტთა დოკუმენტაციას განიხილავს სპეციალური კომისია, გამარჯვებულების შერჩევა ხდება წარსადგენი მოხსენებისა და კონფერენციის აქტუალობისა და სამეცნიერო ღონის გათვალისწინებით. გრანტის მიმღები კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ ვალდებულია ფონდში წარადგინოს პროგრამული ანგარიში და ჩატარებული კონფერენციის ამსახველი ბეჭდვითი (პროგრამა) ან/ და ვიზუალური მასალა (ფოტო, ვიდეო, DVD).

2008 წლის განმავლობაში მოქალაქიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების კონკურსში მონაწილეობა სულ 37-მა მეცნიერმა მიიღო. 25 გამარჯვებული მეცნიერი ქართველოლოგიის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. ეს სფეროებია: არქეოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა, განათლების მეცნიერებები, დემოგრაფია, ეთნოლოგია, ეკონომიკა, ენათმეცნიერება, თეოლოგია, ისტორია, იურისპრუდენცია, კულტუროლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, სოციოლინგვისტიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ხელოვნებათმცოდნეობა. გამარჯვებულმა მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, იაპონიაში, იტალიაში, ირანში, პორტუგალიაში, რუმინეთში, სამხრეთ კორეაში, საფრანგეთში, უნგრეთში, შვედეთში. დეტალური ინფორმაცია სამოგზაურო გრანტების კონკურსში გამარჯვებულთა შესახებ იხილეთ დანართი 4-ში.



ირინა ბაღრაშვილი ბარსელონაში



მამუკა დოლიძე, ფილოსოფოსთა მსოფლიო კონგრესი



სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის 38-ე მსოფლიო კონგრესი ბუდაპეშტში (ნინო ღარასელია, იზაბელა პეტრიაშვილი)



## საქონფერენციო გრანტების ჯონჯურსი

საქონფერენციო გრანტების ჯონჯურსის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო ყვლევების განვითარებას, ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, მსოფლიო პროცესებში მათ ინტეგრირებას.

2008 წელს ჯონჯურსში მონაწილეობა მიიღო 8 პროექტმა. შემოსული პროექტები შეაფასა საქონჯურსო ჯომისიამ, შედეგები დაამტკიცა ფონდის სამეცნიერო საბჭომ. 2008 წელს გაიმარჯვა ორმა საქონფერენციო პროექტმა:



**კონფერენციის სახელწოდება:** საქართველო და ახლო აღმოსავლეთი  
**წამყვანი ორგანიზაცია:** აღმოსავლეთისა და ჯავასიის ჯვლევის ცენტრი, თანამონაწილე  
**ორგანიზაცია:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.



2008 წლის 22 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიხსნა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „საქართველო და აღმოსავლეთი - წარსული, აწმყო, მომავალი“. კონფერენციაზე ახლებური მიდგომით გაშუქდა საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთობები. კონფერენცია გახსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა. კონფერენციაზე სიტყვით გამოცვით გამოცვით

ვიდნენ: საქართველოს ვიცე-პრემიერი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. კონფერენციის შედეგად გამოიცემა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც გავრცელდება როგორც საქართველოში, ისე - საზღვარგარეთ და ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.



**კონფერენციის სახელწოდება:**  
**სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი. ლიტერატურა, ჯულტურა, ცნობიერება**  
**ორგანიზაცია:** შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

2008 წლის 16 დეკემბერს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიხსნა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული კონფერენცია. სამეცნიერო სესია ჩატარდა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის

„ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ ფარგლებში. ჯონფერენციის მიზანი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მასშტაბური კვლევა გახლდათ. ჯონფერენციის ფორმატი ფართო ჰუმანიტარული პროფილის - ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხელნაწერთმცოდნეობის, ფილოსოფიის დარგებში მოღვაწე მეცნიერთა მონაწილეობით ინტერდისციპლინარულ კვლევებს ითვალისწინებდა.

ინსტიტუტს დაგეგმილი აქვს ჯონფერენციის მასალებზე დაყრდნობით, გამოსცეს ინტერდისციპლინარული შინაარსის სამეცნიერო კრებული - „სულხან-საბა ორბელიანი 350. საიუბილეო კრებული“.

## სტიპენდიები

### შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია მეცნიერთათვის



შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის ჯონჟურსის მიზანია, იმ მეცნიერთა (მეცნიერებათა დოქტორები ან/და მათთან გათანაბრებული პირები) წახალისება, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითსა ან/და აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარულიანსოციალური მეცნიერებების განხრით და გამოირჩევიან აქტიური და წარმატებული სამეცნიერო საქმიანობით. ჯონჟურსი პირველად 2007 წლის ნოემბერში გამოცხადდა. სტიპენდიის მოსაპოვებლად განაცხადი 16-მა მეცნიერმა შემოიტანა. საჯონჟურსო ჟომისიამ განაცხადები განიხილა ჯონჟურსანტთა აკადემიური წარმატებების, სამეცნიერო მიღწევების, რეკომენდაციებისა და დაგეგმილი კვლევის - ლექციების გათვალისწინებით. დამატებით შეფასდა ჯონჟურსანტების მიერ წარმოდგენილი გამოქვეყნებული წიგნები და რეცენზიები წიგნებზე. 2008 წლისათვის დაჯილდოვდა ხუთი მეცნიერი - პროფესორები ვახტანგ იმნაიშვილი, კიტი მაჩაბელი, ირმა რატიანი, გოჩა საითიძე, ელგუჯა ხინთიბიძე. სტიპენდიის ოდენობა თვეში 400 ლარს შეადგენდა. სტიპენდიის ფარგლებში, თითოეულმა გამარჯვებულმა ჯონჟურსანტმა 2008 წლის განმავლობაში ჩაატარა 2 საჯარო ლექცია. შოთა რუსთაველის სტიპენდიატთა მიერ წაკითხული საჯარო ლექციები ქართულსა და ინგლისურ ენებზე ელექტრონული სახით განთავსებულია რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე. დეტალური ინფორმაცია შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიატთა მიერ ჩატარებული საჯარო ლექციების შესახებ იხილეთ მე-5 დანართში.

სტიპენდიას ჩემთვის მორალური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან დავინახე მეცნიერების მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერა. სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე კი ქართული მეცნიერება ვერ განვითარდება. ამ თვალსაზრისით, ფასდაუდებელია შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის როლი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების შენარჩუნება-განვითარების საქმეში.

გოჩა საითიძე,  
ოსუ ასოცირებული პროფესორი

2008 წლის ოქტომბერში რუსთაველის ფონდმა გამოაცხადა ჯონჟურსი 2009 წლისათვის შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად. 2009 წელს სტიპენდიის რადენობა თვეში 500 ლარის ოდენობითაა განსაზღვრული. საჯონჟურსოდ განაცხადი 39-მა მეცნიერმა შემოიტანა. ჯონჟურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის იანვარში.



## ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის



ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის მიზნად ისახავს, ღიად გამოცხადებული ჯონქურსის გზით, იმ ახალგაზრდა მეცნიერთა (მაგისტრანტები და დოქტორანტები) წახალისებას, რომლებიც სწავლობენ საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერებების განხრით, და გამოირჩევიან აქტიური სამეცნიერო საქმიანობით. ჯონქურსი პირველად 2007 წლის ნოემბერში გამოცხადდა. საქონქურსოდ განაცხადი 12-მა ახალგაზრდა მეცნიერმა შემოიტანა. გამარჯვებულ 10 მეცნიერთაგან 6 დოქტორანტი, 4 კი მაგისტრანტი. ახალგაზრდა მეცნიერები 2008 წლის განმავლობაში იღებდნენ სტიპენდიას 200 ლარის ოდენობით. სტიპენდიის ფარგლებში,

ახალგაზრდა მეცნიერებმა ჩაატარეს 2 საჯარო ლექცია საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. დეტალური ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიატა მიერ ჩატარებული საჯარო ლექციების შესახებ იხილეთ მე-6 დანართში.

2008 წლის ოქტომბერში რუსთაველის ფონდმა გამოაცხადა ჯონქურსი ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად 2009 წლისათვის. 2009 წელს სტიპენდიის რაოდენობა თვეში 300 ლარიტა განსაზღვრული. საქონქურსოდ განაცხადი 34-მა ახალგაზრდა მეცნიერმა შემოიტანა. გამარჯვებული ახალგაზრდა მეცნიერები 2009 წლის იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში მიიღებენ სტიპენდიას.

ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ჩემთვის, როგორც ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის ფაქულტეტის მაგისტრანტისთვის, უპირველეს ყოვლისა პრესტიჟი და ასევე ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გახლდათ. გარდა ფინანსური წახალისებისა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, უაღრესად საინტერესო იყო ვალდებულების ფორმატი, რომელიც გარკვეულ სამეცნიერო სამუშაოს ითვალისწინებდა.

გიორგი ყაყელიძე, თსუ მაგისტრანტი

## ღონისძიებები

2008 წლის 20 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააჯილდოვა რუსთაველის ფონდის სტიპენდიებისა და სამეცნიერო სახელმწიფო საგრანტო ჯონქურსში გამარჯვებული ქართველი მეცნიერები.

მეცნიერებთან შეხვედრა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ შედგა. შეკრებილთ მიესალმნენ საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი გია ნოდია და რუსთაველის ფონდის დირექტორი, ქალბატონი თინათინ ბოჭორიშვილი.





შეხვედრა დიალოგის ფორმატში ჩატარდა. საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა რუსთაველის ფონდის დაარსების მნიშვნელობაზე, მეცნიერების განვითარების პრიორიტეტულობასა და სამეცნიერო პროგრამების და პროექტების დაფინანსების გაზრდაზე. ქართველმა მეცნიერებმა იმსჯელეს საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებზე, წარმოადგინეს წინადადებები ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განვითარებასთან და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

შეხვედრის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სერტიფიკატები გადასცა 2007

წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს, შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიატებს.

## შეხვედრები მეცნიერებთან

2008 წლის განმავლობაში რუსთაველის ფონდი რეგულარულად მართავდა შეხვედრებს საქართველოს წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერებთან. ფონდის მიერ დაგეგმილ კონკურსებში მონაწილეთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და თანასწორი პირობების შესაქმნელად, ფონდმა მიზანშეწონილად მიიჩნია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონების უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრებისთვის.

შეხვედრები ჩატარდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აჭაჩი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ამ უნივერსიტეტებში მოღვაწე 300-ზე მეტი მეცნიერი აქტიურად ჩაერთო საკონსულტაციო სემინარების მუშაობაში.

საკონსულტაციო სემინარები გაიმართა სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროგრამისა და პირობების გაცნობის მიზნით. 2008 წლისათვის დაგეგმილი საკონკურსო პროგრამების პრეზენტაცია ჩატარდა თბილისშიც, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მეცნიერებს საშუალება მიეცათ დეტალური ინფორმაცია მიეღოთ ფონდის საქმიანობის, მისი მომავალი გეგმებისა და მიმდინარე კონკურსის შესახებ. მეცნიერებმა ისაუბრეს გრანტების ადმინისტრირებისას წარმოქმნილ პრობლემებზე.



ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



აჭაჩი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი



## UNESCO - განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 34-ე სესია



2007 წლის 16 ოქტომბერს პარიზში, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (იუნესკოს) 34-ე სესიას დაესწრო საქართველოს დელეგაცია „იუნესკოს“ ქართული ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. რუსთაველის ფონდის დირექტორი, პროფესორი თინათინ ბოჭორიშვილი, მონაწილეობდა მინისტერიალის მრგვალ მაგიდაში განათლებისა და მეცნიერების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ახალგაზრდობის ფორუმებზე.

### ამერიკელ შემფასებელთა ასოციაციის ჯონფერენცი

